



## სტრატეგიული სასამართლო პროცესის გავლენა: საბჭოთა პერიოდის რეპრესიების მსხვერპლთა კომპენსაცია საქართველოში

გამოქვეყნდა: 5 ივნისი, 2017

2010 წლის პრეცედენტულმა საქმემ [“კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ”](#) გზა გაუკვალა საბჭოთა პერიოდის რეპრესიების ათასობით ქართველი მსხვერპლის სარჩელს კომპენსაციის მოთხოვნით.

2017 წლის 27 აპრილს ადამიანთა უფლებების ევროპულმა სასამართლომ ისევ განიხილა ეს საკითხი. სასამართლომ დაადგინა, რომ [“ზურდიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”](#) საქმის განხილვის შემდეგ მიღებული იურიდიული კანონმდებლობის შესწორებები მიზანმიმართულია ადამიანთა უფლებების დარღვევებთან, რომლებიც იდენდიფიცირებული იქნა კილაძის საქმეში. საქართველოს მთავრობის მიერ კანონის შესწორება ნათელი მაგალითია პრეცედენტული პროცესის გავლენისა, მანამდე კი, სანამ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება დანიშნულებამდე მიაღწევს.

ორივე საქმეში მომჩივანთა წარმომადგენელი იყო [ევროპული ადამიანთა უფლებების საადვოკატო ცენტრი](#) (EHRAC) რომელიც [მიდლსექსის უნივერსიტეტშია](#) განთავსებული და [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია](#) (საია) თბილისიდან.

“საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს არ გაუვლია გარდამავალი იურიდიული პროცესები, არ არსებობდა არანაირი კომპენსაციისა და ანაზღაურების მექანიზმი ადამიანთა უფლებების უხეში ხელყოფის მსხვერპლთათვის იმ რეპრესიებისთვის, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა პერიოდში. ამ საქმეთა ევროპულ სასამართლოში განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს მთავრობაზე ზეწოლას ახორციელებს, რომ სახელმწიფომ აღიაროს და გარკვეული ფორმით კომპენსაცია გასცეს იმ უსამართლობისათვის, რაც რეპრესირებულებმა განიცადეს.”

თამარ დეკანოსიძე, საია

### კილაძე საქართველოს წინააღმდეგ



ფოტოზე: კლაუს კილაძე თავის სახლში, 2010

კილაძეთა ოჯახი (მშობლები და ორი ძმა) სასტიკი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა საბჭოთა ორგანოების მიერ 1930-იან წლებში განხორციელებული რეპრესიების დროს. კლაუს და იური კილაძეების მამა დახვრიტეს 1937 წელს საბოტაჟისა და ტერორიზმის ბრალდებით, დედე გულაგში - საბჭოთა შრომით-გამასწორებელ ბანაკში გაგზავნეს 1938 წელს, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ

დანაშაულობათა ბრალდებით. მშობლების ბინა თბილისში და მთელი მათი ქონება კონფისკებული იქნა. ძმებმა, რომლებიც ამ დროისათვის 10 და 12 წლისანი იყვნენ, ორი წელი რუსეთში ობოლთა თავშესაფარში გაატარეს, ვიწრო და არაჰიგიენურ პირობებში. შემდეგ კი საქართველოში დააბრუნეს თავიანთ ბებიასთან, რომელმაც ძმები გაზარდა.



საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით <sup>1</sup> საბჭოთა რეპრესიების ქართველ მსხვერპლთა და მათი პირველადი თაობის მემკვიდრეებს შესაძლებლობა აქვთ მოითხოვონ კომპენსაცია: 2005 წელს ძმებმა კილაძეებმა განაცხადი შეიტანეს და თითოეულმა მოითხოვა €208.000 კომპენსაცია მიყენებული ზარალისათვის. მაგრამ საქართველოს მთავრობამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან არ არსებობდა იურიდიული მექანიზმი, რათა ზუსტად განესაზღვრათ კომპენსაციის რაოდენობა, რომლებიც მათ უნდა მიეღოთ. 2006 წელს ევროპულმა ადამიანთა უფლებების საადვოკატო ცენტრმა (EHRAC) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) კილაძეთა ოჯახის სახელით ევროპულ სასამართლოს მიმართა. 2010 წლის თებერვალში სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველომ ვერ უზრუნველყო შესაბამისი ზომების მიღება რათა მომჩივანთა სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო და მათ კუთვნილი კომპენსაცია მიეღოთ. თავდაპირველად სასამართლომ გადაწყვიტა დაეცადა სანამ საქართველო მიიღებდა საჭირო ღონისძიებებს ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად, მაგრამ რადგან ეს არ მოხდა გადაწყვეტილების მიღებიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში, საქართველოს მთავრობა დავალდებული იქნა კლავს და იური კილაძეებისათვის გადაეხადა €4000 კომპენსაციის სახით მიყენებული ზარალისათვის.

### **ბურდიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ**

2011 წლის 18 მაისს კილაძის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საქართველომ შესწორება შეიტანა შიდა კანონმდებლობაში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო საბჭოთა რეპრესიების სხვა მსხვერპლთათვის კომპენსაციის მიღება. მაგრამ კომპენსაციის თანხის ფაქტობრივი რაოდენობა, რაც დაზარალებულებზე გაიცა, ძალიან უმნიშვნელო იყო <sup>2</sup> და არსებული მექანიზმი არ იყო საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ამის გამო ევროპულმა ადამიანთა უფლებების საადვოკატო ცენტრმა (EHRAC) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) გადაწყვიტეს ახალი სარჩელის შეტანა ევროპულ სასამართლოში 2012 წელს. [“ბურდიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”](#) სარჩელით მათ მოითხოვეს, რომ საქართველოს მთავრობას მოეგვარებინა სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის გაცემის საკითხი ყველა მოსარჩლისათვის, ვინც კომპენსაციას მოთხოვდა ისტორიული პოლიტიკური რეპრესიებისათვის.

2014 წლის 31 ოქტომბერს [საქართველოს კანონი მეორეჯერ შესწორდა](#), რითაც შესაძლებელი გახდა გადასახდელი კომპენსაციის დიაპაზონის განსაზღვრა, ასევე მოსარჩლეთა წარმომადგენელს მიეცა საშუალება სარჩელი შეეტანა დაზარალებულთა

---

<sup>1</sup> 1997 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონი მსხვერპლის სტატუსისა და სოციალური დაცვის შესახებ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ (კანონი კომპენსაციის შესახებ).

<sup>2</sup> მაგალითად, “ბურდიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ” საქმეში (No. 26290/12) ადგილობრივმა სასამართლებმა მოსარჩლეთა სასარგებლოდ €45 და €190 კომპენსაციის გაცემა დაადგინეს.



უფრო ფართო ჯგუფის სახელით, რამდენიმე რაიონულ სასამართლოში<sup>3</sup>. ეს რეფორმები კანონად გამოცხადდა 2015 წლის იანვრიდან. ამის შედეგად ათასობით ქართველ მოქალაქეს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ (თავად ან მათი მშობლები) მიეცათ საშუალება უფრო ადეკვატური კომპენსაცია მიეღოთ.

**2011 წლის მაისიდან 2014 წლის დეკემბრამდე** (კილაძის განაჩენის შემდეგ რასაც შედეგად მოჰყვა კანონში ცვლილებების შეტანა)

- **8487** მოქალაქემ შეიტანა განცხადება კომპენსაციის მისაღებად
- კომპენსაცია გაიცა **6914** მოქალაქეზე (**81%**)

**2015 წლის იანვრიდან** (მას შემდეგ, რაც კანონი მეორეჯერ შესწორდა), საიას მონაცემებით სულ **8000** მოქალაქეს მიეცა კომპენსაცია.

---

<sup>3</sup> საქართველოს კანონი კომპენსაციის შესახებ, მუხლი 9, პარაგრაფი 2; საქართველოს ადმინისტრაციული პროცედურული კანონი, მუხლი 21, პარაგრაფი 2.